პერსონალურ მონაცემთა
დაცვის სამსახური

მსოფლიო პრაქტიკა

ნოემბერი / 2022

მთავარი სიახლეები

საქართველოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურმა 2022 წლის „ევროპული საქმისწარმოების სამუშაო შეხვედრას“ (“European Case Handling Workshop (ECHW)) უმასპინძლა

„ევროკავშირის მონაცემთა დაცვის ზედამხედველი“ (European Data Protection Supervisor (EDPS)) „ევროკავშირის მედიის თავისუფლების აქტის“ პროექტზე მოსაზრებას აქვეყნებს

მეტა (“Meta”) Instagram-სა და Facebook-ზე ავრცელებს კონფიდენციალურობის ახალ შესწორებებს მოზარდებისთვის

2022 წლის მე-3 კვარტალში პერსონალურ მონაცემთა უსაფრთხოების დარღვევის შემთხვევებმა მოიმატა

საქართველოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურმა 2022 წლის „ევროპული საქმისწარმოების სამუშაო შეხვედრას“ (“European Case Handling Workshop (ECHW)) უმასპინძლა

18-19.11.2022

2022 წელს ევროპის საქმისწარმოების სამუშაო შეხვედრა საქართველოში, ქალაქ თბილისში ჩატარდა. ევროპული საქმისწარმოების სამუშაო შეხვედრა არის ყოველწლიური ფორუმი, რომელიც მიზნად ისახავს პერსონალური მონაცემების დაცვისა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებას სხვა ქვეყნის მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოებთან. იგი ევროპული მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოების საგაზაფხულო კონფერენციის (ე. წ. “Spring Conference”) ერთგვარი გაგრძელებაა. სამუშაო შეხვედრა 1999 წლიდან იმართება და ჰელსინკის საგაზაფხულო კონფერენციიდან იღებს სათავეს, სადაც ევროპის მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოები შეთანხმდნენ მონაცემთა დაცვის სფეროში მომუშავე პრაქტიკოსთა მონაწილეობით სამუშაო შეხვედრის ჩატარებაზე.

2022 წლის ღონისძიების ორგანიზატორი და მასპინძელი უწყება პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური იყო. სამუშაო შეხვედრას პერსონალურ მონაცემთა დაცვის 26 საზედამხედველო ორგანო 50-ზე მეტი წარმომადგენელი ესწრებოდა. ასევე სამუშაო შეხვედრაში ჩართულები იყვნენ ისეთი ორგანიზაციები, როგორებიცაა: „ევროკავშირის მონაცემთა დაცვის ზედამხედველი“ (“European Data Protection Supervisor“ (EDPS)) და „წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი“ (“International Commitee of the Red Cross” (ICRC)).

ECHW 2022-ის საზეიმო მიღება 17 ნოემბერს გაიმართა, 18-19 ნოემბერს კი — სამუშაო შეხვედრები. 18 ნოემბერს სამუშაო შეხვედრის მონაწილეებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსმა — ლელა ჯანაშვილმა და საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარემ — მიხეილ სარჯველაძემ.

ფოტო: www.personaldata.ge

სამუშაო დღეები ექვს პანელურ სექციას აერთიანებდა. პირველ სამუშაო დღეს განხილულ იქნა ინსპექტირების ეტაპები, კერძოდ, მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს მიერ ინსპექტირების დაგეგმვა; განცხადებების დიდ ნაკადთან გამკლავების მეთოდები; გადაწყვეტილების მიღების პროცესი; გადაწყვეტილების სტრუქტურა და მეთოდოლოგია; მიღებული გადაწყვეტილების აღსრულება.

პირველი პანელური სექციის ფარგლებში, რომელიც შეეხებოდა ინსპექტირების დაგეგმვას, მოხსენებით წარსდგნენ საქართველოს, ავსტრიისა და ჰოლანდიის

პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოების წარმომადგენლები. მათ განიხილეს საზედამხედველო ორგანოების გამოცდილება ინსპექტირების დაგეგმვის, მოჭარბებული ოდენობით განცხადებათა განხილვისა და ინსპექტირების გზით მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოთა მიზნების განხორციელებაზე. მომდევნო პანელურ სესიაზე, რომელიც საზედამხედველო ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესს შეეხებოდა, აუდიტორიის წინაშე მოხსენებით ალბანეთისა და საფრანგეთის მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოების წარმომადგენლები წარსდგნენ. მომხსენებლებმა იმსჯელეს ინსპექტირების ფარგლებში მოპოვებული მტკიცებულებების შეფასებაზე.

მესამე პანელური სესია საზედამხედველო ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მეთოდოლოგიასა და სტრუქტურას შეეხო. მის ფარგლებში მოხსენება წარადგინეს თურქეთის, ესტონეთისა და მოლდოვის კოლეგა საზედამხედველო ორგანოთა წარმომადგენლებმა, რომლებმაც თემატურ საკითხზე დამსწრე პირებს მათი უწყებების გამოცდილება და საუკეთესო პრაქტიკა გაუზიარეს, მათ შორის, არასრულწლოვნის — როგორც მონაცემთა სუბიექტის, პერსპექტივიდან. მეოთხე პანელურ სესიაზე, რომელიც გადაწყვეტილებათა აღსრულებას დაეთმო, მოხსენებით წარსდგნენ ლატვიისა და ხორვატიის მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოების წარმომადგენლები, რომელთაც ისაუბრეს ადმინისტრაციული სანქციის დაკისრების პრაქტიკულ ასპექტებზე.

[საერთაშორისო ფორუმის მეორე სამუშაო დღე კი პერსონალურ მონაცემთა დაცვის სფეროში აქტუალური საკითხების განხილვას დაეთმო](). სოციალურ მედიაში მონაცემთა დაცვასა და პირადი მიზნით გამონაკლისების თემატიკაზე (“Domestic Exemptions”) მოხსენება წარადგინეს გიბრალტარის მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს, ევროკავშირის მონაცემთა დაცვის ზედამხედველისა (EDPS) და „წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის“ წარმომადგენლებმა. მონაცემთა საერთაშორისო გადაცემაზე ისაუბრეს ბერლინის მონაცემთა დაცვისა და ინფორმაციული თავისუფლების კომისრის წარმომადგენლებმა, ხოლო მონაცემთა უსაფრთხოების დარღვევებზე იმსჯელა უნგრეთის კოლეგა უწყების წარმომადგენელმა. ამავე პანელური სესიის ფარგლებში იტალიის მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს წარმომადგენელმა ისაუბრა ხელოვნური ინტელექტისა და პერსონალური მონაცემების დაცვის ურთიერთკავშირზე.

ფოტო: www.personaldata.ge

სამუშაო შეხვედრის დასასრულს, მონაწილეებს 2023 წლის სამუშაო შეხვედრის კონცეფცია გააცნო ღონისძიების მომდევნო მასპინძელი უწყების, კერძოდ, შვეიცარიის პერსონალურ მონაცემთა დაცვის

საზედამხედველო ორგანოს წარმომადგენელმა.

ECHW 2022-თან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ღონისძიების ვებგვერდზე: www.events.pdps.ge

„ევროკავშირის მონაცემთა დაცვის ზედამხედველი“ (European Data Protection Supervisor (EDPS)) „ევროკავშირის მედიის თავისუფლების აქტის“ პროექტზე მოსაზრებას აქვეყნებს

14.11.2022

„ევროკავშირის მონაცემთა დაცვის ზედამხედველმა“ (European Data Protection Supervisor (EDPS)) 2022 წლის 14 ნოემბერს გამოსცა მოსაზრება ევროპული მედიის თავისუფლების აქტის პროექტზე (“European Media Freedom Act”) (“Draft EU Media Freedom Act”).

ფოტო: www.edps.europa.eu

EDPS დადებითად აფასებს ევროკავშირის მედიის თავისუფლების აქტით გათვალისწინებულ მიზნებს, რომლებიც ითვალისწინებს მედიის თავისუფლებას, დამოუკიდებლობას და პლურალიზმს ევროკავშირის მასშტაბით. მედიის თავისუფლება არის წინაპირობა ევროკავშირის ფარგლებში მედია სერვისების შეუფერხებლად ფუნქციონირებისათვის და ამასთან უმნიშვნელოვანესია სამართლის უზენაესობისა და დემოკრატიისათვის.

ფოტო: www.freepik.com

ამის მიუხედავად, EDPS-ის მოსაზრებით, ჟურნალისტების, მათი წყაროებისა და სერვისის მიმწოდებლების დაცვისათვის რეგულაციით გათვალისწინებული ზომები, შესაძლოა, პრაქტიკაში არაეფექტიანი იყოს. ამ მხრივ, EDPS საკუთარ რეკომენდაციებს, მოსაზრებებს რამდენიმე მიმართულებით აყალიბებს:

- ასამოქმედებელი რეგულაციის მოქმედების ფარგლებთან დაკავშირებით, EDPS მოითხოვს, რომ ყველა ჟურნალისტი, მათ შორის, შტატგარეშე მომუშავეც ექცეოდეს რეგულაციის მოქმედების ფარგლებში.
- ამასთან, რეგულაციაში უნდა გაიწეროს კრიტერიუმები, რომელთა მიხედვითაც ჟურნალისტი მოექცევა წევრი სახელმწიფოს იურისდიქციის ქვეშ.
- აგრეთვე, EDPS აღნიშნავს, რომ აქტის პროექტი არ ითვალისწინებს მკაფიო მითითებას ევროკავშირის სამართლებრივ რეგულაციებთან მის ურთიერთმიმართებაზე. EDPS-ის რეკომენდაციის თანახმად, მკაფიოდ უნდა გაიწეროს, რომ „ევროკავშირის მედიის თავისუფლების აქტის“ მიღება გავლენას არ ახდენს და არ აწესებს

პერსონალური მონაცემებისა და პირადი ცხოვრების დაცულობის განსხვავებულ წესს, ვიდრე ეს გათვალისწინებულია ევროკავშირის პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონმდებლობით ("General Data Protection Regulation (GDPR), E-Privacy Directive" და "Law Enforcement Directive" (LED)).

- ასევე, ასამოქმედებელი რეგულაციის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი წევრ ქვეყნებს უკრძალავს [მედია მომსახურების მიმწოდებლების](#) თვალთვალს, სანქცირებას, ინსპექტირებას, მათი პირადი, საცხოვრებელი ან სამუშაო ადგილის ჩხრეკას, თუკი მათ არ სურს ინფორმაციის წყაროს გამჟღავნება. EDPS განმარტავს, რომ ევროკავშირის ფარგლებში დადგენილი სასამართლო პრაქტიკის შესაბამისად, ზემოხსენებული აკრძალვა ჟურნალისტური წყაროს გაუმჟღავნებლობის მოტივით მოქმედებს მხოლოდ მაშინ, თუ იგი საფრთხეს არ უქმნის საჯარო ინტერესს. თუმცა EDPS მიიჩნევს, რომ რეგულაციაშიც უნდა გაჩნდეს მკაფიო ჩანაწერი იმასთან დაკავშირებით, თუ რა შემთხვევაში არ შეიძლება გახდეს ჟურნალისტური წყაროს გაუმჟღავნებლობა მედია სერვისის მიმწოდებლის თვალთვალის, სანქცირების, მისი პირადი, საცხოვრებელი ან სამუშაო ადგილის ჩხრეკის აკრძალვის საფუძველი.
- ამასთან, EDPS აღნიშნავს, რომ რეგულაციით გათვალისწინებული მექანიზმები, რომლებიც კრძალავს „პროგრამა-ჯაშუშის" ("Spyware") (კომპიუტერში ამა თუ იმ გზით მალულად ჩანერგილი პროგრამა მომხმარებლის, ორგანიზაციის და სხვა საკითხების შესახებ ინფორმაციის მოსაპოვებლად) გამოყენებას არ არის საკმარისი რათა ეფექტიანად უზრუნველყოს ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების, მათ შორის, მედია თავისუფლების დაცვა. შესაბამისად, EDPS აღნიშნავს, რომ „პროგრამა-ჯაშუშის" გამოყენების პირობები უნდა იყოს უკიდურესად შეზღუდული და ამასთან ზედმიწევნითი სიზუსტით განმარტებული, აგრეთვე უნდა შეესაბამებოდეს პერსონალური მონაცემების დაცვის გარანტიებს.
- EDPS ასევე აღნიშნავს, რომ ევროკავშირის მედია თავისუფლების აქტი უნდა შეიცავდეს ამომწურავ ჩამონათვალს აქტით რეგულირებული ურთიერთობების ფარგლებში, რა შემთხვევებში უნდა თანამშრომლობდნენ ევროკავშირის საზედამხედველო ორგანოები, მათ შორის, მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოები, მათი კომპეტენციების გათვალისწინებით.
- ასამოქმედებელი რეგულაციის ჩანაწერთან დაკავშირებით, რომელიც გამჭვირვალობის უზრუნველყოფისა და საჯარო ინტერესის დაცვის მიზნებისთვის ითვალისწინებს ზოგიერთი მედია მომსახურების მიმწოდებლების პერსონალური მონაცემების საჯაროდ ხელმისაწვდომობის ვალდებულებას, EDPS გამოთქვამს მოსაზრებას, რომ შედგეს ამომწურავი სია იმ საჯარო ინტერესებისა, რა შემთხვევებშიც ეს ვალდებულება იარსებებს. ამასთან, უნდა განისაზღვროს პერსონალურ მონაცემთა კატეგორიები, რომლებიც

საჯარო ინტერესების გათვალის-წინებით შეიძლება რომ გასაჯაროვდეს.

რას გულისხმობს მედია მომსახურების მიმწოდებელი?

„ევროკავშირის მედიის თავისუფლების აქტის“ თანახმად, მედია მომსახურების მიმწოდებელი გულისხმობს ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, რომლის პროფესიული საქმიანობაა მედია მომსახურების მიწოდება და რომელსაც ეკისრება მედია მომსახურების შინაარსის განსაზღვრის ვალდებულება. **მედია მომსახურება** კი გულისხმობს სერვისს, რომლის მიზანიცაა პროგრამებისა და პუბლიკაციების ნებისმიერი საშუალებით საზოგადოებისთვის მიწოდება, მათი ინფორმირების, გართობის და საგანმანათლებლო მიზნებისათვის.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ შვეიცარიის მიერ ბავშვის პირადი ცხოვრების დაცულობის უფლების დარღვევა დაადგინა

22.11.2022

2018 წლამდე შვეიცარიის კანონმდებლობა მხოლოდ რეგისტრირებულ ქორწინებაში არსებული პირების მიერ უშვებდა შვილად აყვანის შესაძლებლობას, რის გამოც ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ბავშვის პირადი ცხოვრების დაცულობის უფლების დარღვევა დაადგინა.

EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS
COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME

ფოტო : www.europewatchdog.info

ერთი და იმავე სქესის რეგისტრირებულ პარტნიორებს სუროგაციის გზით ამერიკის შეერთებულ შტატებში შვილი შეეძინათ. ამერიკის შეერთებული შტატების სასამართლომ მათსა და სუროგაციით დაბადებულ ბავშვს შორის დაადგინა ოჯახური (მშობელსა და შვილს შორის არსებული) კავშირი. შვეიცარიის კომპეტენტურმა ორგანოებმა უარი განაცხადეს მშობლის და შვილის ოჯახური კავშირის აღიარებაზე, არაბიოლოგიურ მშობელსა (პირველ განმცხადებელს) და სუროგაციის შედეგად დაბადებულ ბავშვს (მესამე განმცხადებელს) შორის.

შვეიცარიის კომპეტენტურმა ორგანოებმა 2018 წელს, კანონში შესაბამისი ცვლილებების შესვლის შემდგომ აღიარეს შვილად აყვანის მსურველი მშობლისა (პირველი განმცხადებლის) და სუროგაციის გზით დაბადებული ბავშვის (მესამე განმცხადებლის) ოჯახური კავშირი, მშობელ-შვილს შორის არსებული ურთიერთობა.

ფოტო: www.freepik.com

განმცხადებლებმა, კერძოდ, რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფმა პირებმა და სუროგაციის გზით გაჩენილმა პირმა მიმართეს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს, რადგან მიიჩნევდნენ, რომ შვეიცარიის

კომპეტენტური უწყებების მიერ დაირღვა მათი პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება, რომელიც გათვალისწინებულია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კონვენციის მე-8 მუხლით.

მე-8 მუხლის დარღვევასთან დაკავშირებით სასამართლომ რამდენიმე მიმართულებით იმსჯელა. კერძოდ, იმსჯელა სუროგაციის შედეგად დაბადებულ ბავშვსა და შვილად აყვანის მსურველ მშობელს (არაბიოლოგიურ მამას) შორის ოჯახური ურთიერთობის დადგენის კონტექსტში. სასამართლოს გადაწყვეტილებით, იქიდან გამომდინარე, რომ შვეიცარიაში სუროგაცია იყო აკრძალული, სუროგაციის შედეგად დაბადებული ბავშვის არაბიოლოგიურ მამასა (პირველ განმცხადებელს) და სუროგაციის შედეგად დაბადებულ ბავშვს (მესამე განმცხადებელს) შორის ოჯახური ურთიერთობის არაღიარება არ წარმოადგენდა შვეიცარიის მიერ ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევას. შვეიცარიის კომპეტენტური ორგანოების უარი ეფუძნებოდა ბავშვებისა და სუროგატი დედების დაცვის მიზანს. ამასთან, მიზნად ისახავდა თავიდან აერიდებინა შვეიცარიიდან პირების საზღვარგარეთ მასიური გასვლა სუროგაციის გზით ბავშვის გაჩენის მიზნებისათვის. შესაბამისად, ჩარევა შეესაბამებოდა კონვენციის მე-8 მუხლით გათვალისწინებულ ლეგიტიმურ მიზნებს, როგორიცაა ჯანმრთელობისა და სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა.

სუროგაციის შედეგად დაბადებული ბავშვის (მესამე განმცხადებლის) პირადი ცხოვრების დაცულობის უფლებასთან დაკავშირებით, სასამართლომ აღნიშნა, რომ სუროგაციის შედეგად დაბადებული ბავშვის (მესამე განმცხადებლის) სიცოცხლის დაწყების მომენტისთვის, 2011 წელს, შვეიცარიის კანონმდებლობა არ იძლეოდა შესაძლებლობას, რომ მშობელს (პირველ განმცხადებელს) და ბავშვს შორის სამართლებრივად დადგენილიყო მშობელ-შვილს შორის არსებული ოჯახური კავშირი. იგი ითვალისწინებდა მხოლოდ ქორწინებაში არსებული პირების მიერ შვილის აყვანის შესაძლებლობას. 2018 წლის 1 იანვრიდან შესაძლებელი გახდა რეგისტრირებული პარტნიორების მიერ შვილის აყვანა, მათ შორის, რეგისტრირებული პარტნიორის შვილის შვილად აყვანა. 2018 წლის 21 დეკემბერს განმცხადებლებმა შეძლეს სუროგაციის შედეგად დაბადებული ბავშვის შვილად აყვანა. შვიდი წლისა და რვა თვის განმავლობაში (2011 წლის 30 აპრილიდან, ანუ იმ თარიღიდან, როცა განმცხადებლებმა მიმართეს შვეიცარიის კომპეტენტურ უწყებებს დაბადების მოწმობის აღიარების მიზნით 2018 წლის 21 დეკემბრამდე, იმ თარიღამდე, ვიდრე მათ შვილად აიყვანეს სუროგაციის შედეგად დაბადებული ბავშვი) განმცხადებლებს არ ჰქონდათ შესაძლებლობა მათი ოჯახური, მშობელ-შვილს შორის არსებული კავშირი სამართლებრივად ყოფილიყო აღიარებული.

აღნიშნული დროის ხანგრძლივი შუალედი წინააღმდეგობაში მოდის სასამართლოს მიერ უკვე დადგენილ პირობებთან. კერძოდ, ბავშვის საუკეთესო ინტერესებთან, რადგან აღნიშნულმა შესაძლოა განაპირობოს გაურკვევლობა ბავშვის იდენტობასთან მიმართებით და შეუზღუდოს მას სტაბილურ გარემოში ცხოვრებისა და განვითარების

შესაძლებლობა. სასამართლომ დაადგინა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში კანონიერად გამოცემული დაბადების სერთიფიკატის აღიარებაზე უარი შვეიცარიის კომპეტენტური ორგანოების მიერ, პირველ განმცხადებელსა და მესამე განმცხადებელს შორის ოჯახური ურთიერთობის დამადასტურებელი სხვა ზომის გამოყენების გარეშე, არ გამომდინარეობდა ბავშვის საუკეთესო ინტერესებიდან და წარმოადგენდა არაპროპორციულ ჩარევას მესამე განმცხადებლის პირადი ცხოვრების უფლებით დაცულ სფეროში. შვეიცარია არ მოქმედებდა თავისუფალი შეფასების ფარგლებში, რადგან დაუშვა, რომ ამდენი ხნის განმავლობაში მშობელსა და შვილს შორის არსებული ურთიერთობა არ ყოფილიყო აღიარებული.

ამდენად, მესამე განმცხადებელთან მიმართებით სასამართლომ დაადგინა პირადი ცხოვრების დაცულობის უფლების დარღვევა. პირველი (შვილად აყვანის სურვილის მქონე მშობელი, არაბიოლოგიური მამა) და მეორე განმცხადებლის (სუროგაციის შედეგად დაბადებული ბავშვის ბიოლოგიური მამა) შემთხვევაში სასამართლომ არ დაადგინა ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლების და ამ მიმართულებით მე-8 მუხლის დარღვევა, რადგან ისინი სუროგაციისთვის კალიფორნიაში გაემგზავრნენ შვეიცარიის კანონისთვის თავის არიდების მიზნით. ამასთან, შვეიცარიის კომპეტენტური ორგანოების მიერ დაბადების მოწმობის არ აღიარებას არ მოუხდენია გავლენა, რათა პირველ და მეორე განმცხადებელს ესარგებლათ ოჯახური ცხოვრების უფლებით.

მეტა (“Meta”) Instagram-სა და Facebook-ზე ავრცელებს კონფიდენციალურობის ახალ შესწორებებს მოზარდებისთვის

21.11.2022

ფოტო: მეტა

მეტამ გამოაცხადა, რომ მას შემოაქვს კონფიდენციალურობის ცვლილებები მოზარდებისთვის Instagram-სა და Facebook-ზე. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ცვლილებების მიხედვით, 16 ან 18 წლამდე ასაკის არასრულწლოვნების facebook-ზე რეგისტრაციისას, გარკვეულ ქვეყნებში, მათზე ავტომატურად გავრცელდება უფრო დაცული/დახურული პარამეტრები.

თინეიჯერებისთვის, რომლებიც უკვე არიან ამ აპლიკაციაში, Facebook აპირებს მათ წახალისებას, აირჩიონ უფრო მეტად დახურული პარამეტრები, თუ ვის შეუძლია ნახოს მათი მეგობრების სია, პოსტები, რომლებშიც ისინი არიან მონიშნული, ადამიანები და სიები, რომლებსაც თვალს ადევნებენ და ვის შეუძლია კომენტარის დატოვება მათ საჯარო პოსტებზე.

Meta ასევე ამოწმებს იმ გზებს, რათა დაიცვას მოზარდები იმ საეჭვო მომხმარებლების შეტყობინებებისგან, რომლებთანაც ისინი არ არიან დაკავშირებული. საეჭვო ანგარიში, როგორც წესი, ეკუთვნის ზრდასრულ ადამიანს, რომელიც ცოტა ხნის წინ დაბლოკეს ან რომლის მიმართ უკმაყოფილება იქნა გამოთქმული

ახალგაზრდა მომხმარებლის მიერ. განახლებების შემდგომ, Facebook არ აჩვენებს მოზარდებს საეჭვო ანგარიშებს სავარაუდო ნაცნობების შეთავაზებებში. Meta ასევე მუშაობს თინეიჯერების, Instagram პროფილზე შეტყობინებების ღილაკის ამოღებაზე, როდესაც მათ საეჭვო ანგარიშების მომხმარებლები დაათვალიერებენ.



ფოტო: მეტა

გარდა ამისა, მეტა მუშაობს დაკარგული და ექსპლუატირებული ბავშვების ეროვნულ ცენტრთან (NCMEC), რათა განავითაროს გლობალური პლატფორმა მოზარდებისთვის, რომლებიც შიშობენ, რომ მათი ინტიმური სურათები შეიძლება, გაზიარებული იყოს ონლაინ, მათი თანხმობის გარეშე. პლატფორმის მიზანია დაეხმაროს მეტას, რათა თავიდან აიცილოს მოზარდის ინტიმური სურათების ინტერნეტში განთავსება. პლატფორმა იმუშავებს ისე, როგორც Meta-ს ამჟამინდელი სისტემა, რომელიც შექმნილია მოზრდილებისგან ინტიმური სურათების გაზიარების პრევენციისთვის. Meta ამბობს, რომ პლატფორმის აშენების შემდეგ, იგი შეიძლება გამოიყენონ სხვა კომპანიებმა ტექნიკურ ინდუსტრიაში.

„ჩვენ მჭიდროდ ვმუშაობთ NCMEC-თან, ექსპერტებთან, მეცნიერებთან, მშობლებთან და მსხვერპლთა დამცველებთან გლობალურად, რომ დავეხმაროთ პლატფორმის განვითარებას და უზრუნველვყოთ, რათა იგი პასუხობდეს მოზარდების საჭიროებებს, რათა მათ შეძლონ საკუთარი პერსონალური მონაცემების კონტროლი“, — განაცხადა Meta-მ ბლოგზე.

Meta ასევე მუშაობს Thorn-თან და მათ NoFiltr ბრენდთან [სასწავლო მასალების](#) შესაქმნელად, რაც ამცირებს უნებართვო წვდომასა და სტიგმას ინტიმური სურათების გარშემო. საგანმანათლებლო მასალები მიზნად ისახავს მოზარდების გაძლიერებას, რათა მიიღონ დახმარება და დაიბრუნონ კონტროლი ფაილებზე.

იაპონიის პერსონალური ინფორმაციის დაცვის კომისიამ ქირურგიული ვიდეოების ჩაწერის შედეგად პერსონალური ინფორმაციის დამუშავების შესახებ ანგარიში გამოაქვეყნა

02.11.2022

[იაპონიის პერსონალური ინფორმაციის დაცვის კომისიამ 2022 წლის 2 ნოემბერს გამოაქვეყნა ანგარიში ქირურგიული ვიდეოების ჩაწერის შედეგად პერსონალური ინფორმაციის დამუშავების შესახებ.](#) აღნიშნულმა გამოიწვია ქირურგიული ვიდეოებიდან მიღებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით ქვეყნის მასშტაბით 60 სამედიცინო დაწესებულების მენეჯმენტის მიერ პერსონალურ მონაცემთა დამუშავების განხილვა. იაპონიის პერსონალური ინფორმაციის დაცვის კომისიამ განმარტა,

რომ შპს “Star Japan”-მა — ერთ-ერთმა სამედიცინო დაწესებულებამ, გააფორმა კონტრაქტები თანამშრომლებთან და სხვა სამედიცინო დაწესებულებებთან ქირურგიული ვიდეოების შესაძენად. ამ ვიდეოების დამუშავების შესახებ მონაცემთა დაცვის სტანდარტებთან შეუსაბამო შიდა შეტყობინების გამო, მან გაავრცელა პაციენტების პირადი ინფორმაცია სახელების ჩათვლით. გარდა ამისა, იაპონიის პერსონალური ინფორმაციის დაცვის კომისიამ განმარტა, რომ სამედიცინო დაწესებულებებმა, რომლებმაც მიაწოდეს ქირურგიული ვიდეო შპს “Star Japan”-ს, არ აუღიათ პაციენტის თანხმობა. ამას გარდა, პერსონალური ინფორმაციის დაცვის კომისიამ საკითხის შესწავლით დაადგინა, რომ კომპანიას არ მიუღია მონაცემთა უსაფრთხოების დაცვისთვის შესაბამისი ზომები.

იაპონიის პერსონალური ინფორმაციის დაცვის კომისიამ “Star Japan”-ს შემდეგი მითითებები მისცა:

- სათანადოდ დაზუსტდეს და ეცნობოს დაინტერესებულ პირებს ვიდეოების გამოყენების მიზანი ან გასაჯაროვდეს ინფორმაცია დაინტერესებული პირებისთვის;
- სხვა მხარეებთან მონაცემთა გადაცემისას/გაცვლისას სისტემა უნდა აღიჭურვოს მონაცემთა დაცვაზე ორიენტირებული დიზაინით, მათ შორის გასათვალისწინებელია, არის თუ არა პერსონალური მონაცემები გადასაცემ/გასაცვლელ ინფორმაციაში და შეესაბამება თუ არა ჩატარებული მოქმედებები პერსონალური ინფორმაციის დაცვის შესახებ აქტს (2003 წლის აქტი No. 57, შესწორებული 2020 წელს (APPI)), პერსონალური ინფორმაციის დაცვის აქტის შესახებ ზოგად სახელმძღვანელოსა და სხვა რეგულაციებს.

ფოტო: www.stock.adobe.com

იაპონიის პერსონალური ინფორმაციის დაცვის კომისიამ სხვა საკითხებთან ერთად ზოგადი მითითებები მისცა სამედიცინო დაწესებულებებს, კერძოდ:

- სამომავლოდ მიიღონ შესაბამისი პირის თანხმობა მესამე პირებისთვის პერსონალური მონაცემების მიწოდებასთან დაკავშირებით საჭიროების შესაბამისად;
- დააწესონ დისციპლინა და სისტემები, რათა უზრუნველყონ თანხმობის სათანადო წესით მიღება;
- მიიღონ შესაბამისი უსაფრთხოების ზომები, რათა უზრუნველყონ, თანამშრომელთა მხრიდან დაცული პერსონალური მონაცემების არა-უფლებამოსილი მესამე პირებისთვის მიწოდების პრევენცია;
- ჩამოაყალიბონ სისტემა თანამშრომ-ლებზე ზედამხედველობისა და თანამშრომლების გადამზადების უზრუნველსაყოფად.

2022 წლის მე-3 კვარტალში პერსონალურ მონაცემთა უსაფრთხოების დარღვევის შემთხვევებმა მოიმატა

11.11.2022

“Surfshark”-მა (კიბერუსაფრთხოების კომ-პანია) ჩაატარა კვლევა 2022 წლის მე-3 კვარტალში (ივლისი, აგვისტო, სექტემბერი) პერსონალურ მონაცემთა უსაფრთხოების დარღვევის საკითხებთან დაკავშირებით. შედეგების მიხედვით, პერსონალურ მონაცემთა უსაფრთხოების დარღვევის შემთხვევები გლობალურად გაზრდილია და 2022 წელს ყველაზე დიდი რაოდენობის დარღვევები მესამე კვარტალში გამოვლინდა. მხოლოდ უკანასკნელ სამ თვეში, 108,9 მილიონი ანგარიში გატეხეს, რაც იმას ნიშნავს, რომ საშუალოდ ყოველ ერთ წამში 14 ანგარიშის გაჟონვა ხდებოდა.

ფოტო: www.freepik.com

რა არის პერსონალურ მონაცემთა უსაფრთხოების დარღვევა?

ინფორმაციული უსაფრთხოების სფეროში, პერსონალურ მონაცემთა უსაფრთხოების დარღვევა (“data breach”) არის ინციდენტი, რომლის დროსაც ზოგიერთი მხარის (პირი, კომპანია და ა. შ.) მიერ შენახულ მონაცემებზე წვდომას, მათ ნახვას ან მითვისებას ახდენს არაავტორიზებული მესამე მხარე. განსახილველი კვლევის მიზნებისთვის, პერსონალურ მონაცემთა უსაფრთხოების დარღვევა ნიშნავს, რომ დამრღვევმა „დააკოპირა“ და გაავრცელა მომხმარებლის მონაცემები, როგორიცაა: სახელები, გვარები, ელექტრონული ფოსტის მისამართები, პაროლები და ა. შ.

ფოტო:www.freepik.com

მიმდინარე გლობალური კონფლიქტების, პოლიტიკის ცვლილებების თუ სხვა მიზეზების გამო, მსოფლიო მასშტაბით პერსონალურ მონაცემთა უსაფრთხოების დარღვევის რადარზე ზოგიერთ ქვეყანას უფრო მაღალი მაჩვენებელი აქვს, ვიდრე ოდესმე ჰქონია. ქვეყნებსა და რეგიონებს, რომლებიც 2022 წლის მესამე კვარტალში ყველაზე მეტად დაზარალდნენ შესაბამისი დარღვევებით, წარმოადგენს: რუსეთი, საფრანგეთი, ინდონეზია, აშშ, ესპანეთი, ჩინეთი და სხვა.

ქვემოთ დასახელებულ ხუთ ქვეყანას 2022 წლის მესამე კვარტალში პერსონალურ მონაცემთა უსაფრთხოების დარღვევის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ჰქონდა. ეს რიცხვები მოიცავს მთელს მსოფლიოში იდენტიფიცირებული დარღვევის ნახევარზე მეტს:

ქვეყანა	გატეხილი ანგარიშების რაოდენობა
რუსეთი	22.3 მილიონი
საფრანგეთი	13.8 მილიონი
ინდონეზია	13.3 მილიონი
აშშ	8.5 მილიონი
ესპანეთი	3.9 მილიონი

მსოფლიოს მასშტაბით, საშუალოდ, ყოველ 1000 ადამიანზე 14 ანგარიშის გაჟონვა მოხდა. ეს მაჩვენებელი ქვეყნების მიხედვით შემდეგნაირია:

ქვეყანა	გავრცელებული ანგარიშების რაოდენობა ყოველ 1000 ადამიანზე
საფრანგეთი	212
რუსეთი	153
პორტუგალია	140
ტაივანი	93
ესპანეთი	84

პერსონალური მონაცემების უსაფ-რთხოების დარღვევამ შეიძლება გაანადგუროს ორგანიზაციის რეპუტაცია, გამოიწვიოს გამოუსწორებელი ფინანსური ზიანი, ინტელექტუალური საკუთრების დაკარგვა და ა. შ. ქვემოთ მოცემულია 2022 წლის მე-3 კვარტალში დაფიქსირებული მონაცემთა ყველაზე დიდი გავრცელების შემთხვევები:

1 Grupo Financiero Banorte (მექსიკა)

2022 წლის აგვისტოში, მექსიკის ერთ-ერთი უმსხვილესი კომერციული ბანკიდან 2,1 მილიონი ელექტრონული წერილის გავრცელება მოხდა. წერილები შეიცავდა ინფორმაციას 10 მილიონზე მეტი კლიენ-ტის სახელის, საცხოვრებელი მისამართის, ტელეფონის ნომრისა და საგადასახადო საიდენტიფიკაციო ნომრის თაობაზე.

ფოტო: www.banorte.com

2 La Poste Mobile (საფრანგეთი)

2022 წლის ივლისში, ფრანგულ სატელეფონო ოპერატორზე შეტევის შედეგად, მინიმუმ 533 ათასი ელექტრონული ფოსტის ანგარიშის გაჟონვა მოხდა.

ფოტო: www.lapostemobile.fr

3 TAP Air Portugal (პორტუგალია)

2022 წლის აგვისტოში, პორტუგალიის უმსხვილესი ავიაკომპანიის სერვერებიდან 5 მილიონი ელექტრონული ფოსტის ანგარიშების გავრცელება მოხდა.

ფოტო: www.flytap.com

4 Plex (აშშ)

2022 წლის აგვისტოში, მედია სტრიმინგის სამსახურმა მის ძირითად მონაცემთა

ბაზაში უსაფრთხოების დარღვევა გამოავლინა, რამაც 15 მილიონი ელექტრონული ფოსტის ანგარიშის გაჟონვა და 30 მილიონზე მეტი რეგისტრირებული მომხმარებლის პაროლ-თან დაკავშირებული პოტენციური დარღვევები გამოიწვია.

ფოტო: www.plex.tv

5 Nelnet Servicing (აშშ)

2022 წლის აგვისტოში, ტექნოლოგიური სერვისების პროვაიდერის სისტემები გახდა მასიური კიბერშეტევის მსხვერპლი, რასაც დაახლოებით 2,5 მილიონი ინდივიდის სტუდენტური სესხის შესახებ ინფორმაციის გაჟონვა მოჰყვა.

ფოტო: www.investopedia.com

(+ 995 32) 242 1000
office@pdps.ge
www.pdps.ge